1.სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: კონფლიქტების ანალიზი და მართვა

Conflict Analysis and Management

სადოქტორო პროგრამა კონფლიქტის ანალიზის და მართვის სპაციალობით შემუშავებულია აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტსა და აშშ დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების საფუძველზე.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

PhD in Social Sciences

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

4. საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი:

დოქტორანტურის დონეზე კონფლიქტების მართვის პროგრამის მიზანია მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები კონფლიქტის ანალიზის და მართვის სფეროში, რომელთაც ექნებათ კონფლიქტების შესახებ ღრმა თეორიული ცოდნა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პრაქტიკული უნარ ჩვევები სხვადასხვა კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, მიმდინარე კონფლიქტების ანალიზის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, მშვიდობის მშენებლობის და შენარჩუნების სფეროში. ამასთან ერთად შეეძლებათ სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის წარმართვა კონფლიქტოლოგიის დარგის მომავალი სპეციალისტების მოსამზადებლად და სათანადო ტრენინგების და კონსულტაციების ჩასატარებლად.

კონფლიქტების ანალიზის და მართვის სპეციალისტების დასაქმების სფერო ვრცელია: მათ შეუძლიათ იმუშაონ ყველა სფეროში ,სადაც უაღრესად მნოშვნელოვანია კონფლიქტების პრევენცია, მოგვარება, მართვა. Aასეთი შეიძლება იყოს როგორც სამთავრობო, ისე კერძო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემი, სასწავლო დაწესებულებები, და სხვა. Mმათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში. ასევე, ისინი მზადდებიან სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ბ) სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- კონფლიქტების მართვის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა,
- არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);

- ღრმა ინტეგრალური ცოდნა მის მიერ დამუშავებული თემის შესახებ;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ინოვაციური და, საზოგადოდ, მეცნიერული და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, წარმართვა და გაძღოლა, საკვლევი სფეროსთვის ადეკვატური კვლევითი სტრატეგიის, მეთოდის შერჩევა/გამოყენება და მოპოვებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია;
- სინთეზური კვლევითი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება;
- ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვადი მეცნიერული პროდუქციის შექმნა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაინტეგრირებელი სალექციო კურსების შექმნა და გაძღოლა.
- შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას სხვადასხვა სოციოკულტურულ კონტექსტში.

დასკვნის უნარი:

- ტრადიციულ თეორიულ პარადიგმათა შემოქმედებითი და პრობლემური გააზრება, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- ჩამოყალიბებული ინტერდისციპლინური აზროვნების საფუძველზე თეორიული ცოდნის ზოგადმეცნიერულ კონტექსტში გააზრება და შესაბამისი პრობლემური საკითხების დასმა;
- განსხვავებულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემთა შემოქმედებითად, დროის მოთხოვნების შესაბამისად გააზრება და ინტერპრეტაცია;

კომუნიკაციის უნარი: ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი: კონფლიქტოლოგიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

ღირებულებები: პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე:

- პროფესიული ეთიკური ნორმების (პროფესიონალთა ურთიერთპატივისცემა და აღიარების უნარი, კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარმოდგენა, ყოველგვარი ანგაჟირებულობის მიუღებლობა) მიდევნება;

- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- კულტურათა ეფექტური დიალოგისთვის კულტურებსა და კონტექსტებს შორის განსხვავებების ცოდნა/გათვალისწინება;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენტურობის (იზომორფული ატრიბუცია, ქცევის ანალიზის უნარი, სხვათა მოლოდინების ცოდნა და საჭიროებისამებრ, გათვალისწინება და სხვ.) ფლობა;
- აგრესიული ეთნოცენტრიზმის მიუღებლობა;
- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

მაგისტრის ხარისხი კონფლიქტების მართვაში ან სხვა სპეციალობაში; უცხო ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით; გასაუბრება სპეციალობაში.
დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველმა გასაუბრებაზე უნდა წარმოადგინოს სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა **(იხ. დანართი N1)**

6. სასწავლო და კვლევითი კომპონენტი.
დოქტორანტურის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 180 კრედიტს. მათ შორის, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30-40 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტია 150-140.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (30 -40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:
სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი:

- ✓ კვლევის მეთოდოლოგია - 5 კრედიტი
- ✓ დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
- ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 5-15 კრედიტი.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (150 -140 კრედიტი) :

- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი I
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი II
- ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 150-140 კრედიტი

სამეცნიერო კვლევითი პროექტი I და II წარმოადგენს დაცვის წინაპირობას.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;

დისკუსია/დებატები – სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, კრიტიკული აზროვნების (ალტერნატიული თვალსაზრისების გამოვლენა, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების, შეფასების წარმოჩენა, ერთი თვალსაზრისის სხვადასხვა პოზიციიდან შეფასება, პრობლემის ანალიზისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების გამოვლენა/შეფასება) განსავითარებლად, სტუდენტში კამათის კულტურის ჩამოსაყალიბებლად. პროფესორი წარმართავს დისკუსიას და პერიოდულად ერთვება მასში.

წიგნზე მუშაობა - თეორიული მასალების (სალექციო და საპრეზენტაციო) დამუშავება.

წერითი მუშაობა - წერითი კოლოკვიუმების შესრულება, ესსეს დაწერა, საპრეზენტაციო ტექსტის, აგრეთვე, კვლევითი დავალების წერილობითი ფორმით მომზადება.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - კროსკულტურულ კვლევებზე დაყრდნობით ლექციაზე კონკრეტული კულტურალური შემთხვევების განხილვა; მეთოდთა სწავლებისას კონკრეტული კვლევების განხილვის საფუძველზე მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტების რეფლექსია.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - პრობლემის დასმა და გამოყენება საწყის ეტაპად ახალი ცოდნის მიღებისა და კონტექსტუალიზაციისთვის.

გონებრივი იერიში (Brain storming) - სტუდენტებში შემოქმედებითი მიდგომის განსავითარებლად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული აზრების, იდეების გამოვლენის, გენერირებისა და ვერბალიზაციის ხელშეწყობა.

პროფესორის მიერ ერთი ან რამდენიმე მეთოდის გამოყენება ხდება სასწავლო კურსის ამოცანების შესაბამისად.

8. მიუთითეთ რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე.

არა უმეტეს 10 დოქტორანტისა ყოველ წელს.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

(A) 91 -100 ფრიადი

(B) 81 -90 ძალიან კარგი

(C) 71 -80 კარგი

(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 - 60 საკმარისი

(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

qulebi	Sefaseba
summa cum laude	friadi (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	Zalian kargi (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

	აღემატება)
cum laude	kargi (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	damakmayofilebeli (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

9. **თანხმობის წერილი პარტნიორი ორგანიზაციიდან, რომელიც მონაწილეობას იღებს სადოქტორო პროგრამის შესრულებაში.**

სადოქტორო პროგრამა კონფლიქტების ანალიზსა და მართვაში მომზადებულია აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტს და აშშ დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების საფუძველზე. ამ ინსტიტუტების პროფესორებთან გვაქვს მოლაპარაკება და სიტყვიერი თანხმობა, რომ ისინი ჩართულები იქნებიან სადოქტორო დისერტაციების რეცენზირებაში.

10. **პროგრამაში ჩართული პროფესორები.**

გუგული მაღრაძე, პროფესორი

რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი

ნოდარ ბელქანია, პროფესორი

ლაშა ტუღუში, ასისტენტ პროფესორი

ვახტანგ მაისაია, მოწვეული პროფესორი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

დანართი 1

განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:

(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა:
თარიღი: